

სოფლის განვითარება რაჭა – ლეჩხუმში (RDRL)

პროექტს აფინანსებს “შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო” (SDC). ის ხორციელდება ქეა საერთაშორისო კავკასიაში და მისი პარტნიორების მიერ “ქეა აშშ”-სთან კონტრაქტის საფუძველზე. პროექტის მოსამზადებელი პერიოდი გრძელდებოდა 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე, ხოლო საბოლოო საპროექტო განაცხადი დამტკიცდა 2009 წლის ივლისში. პროექტის განხორციელების პერიოდია 2009 წლის 16 ივლისი – 2011 წლის ნოემბერი.

პროექტი ხორციელდება ორგანიზაციების: აფხაზინტერკონტის (AIC), ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის (CTC), კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ.

პროექტის მიმდინარეობისას ჩამოყალიბდა 2 სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია: “სასოფლო საკონსულტაციო სამსახური რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთისათვის” და არასამთავრობო ორგანიზაცია “თაკვერი XXI”.

პროექტი ფოკუსირებას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე რეგიონში და ახორციელებს საქმიანობას ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში. M4P (ბაზრების ხელმისაწვდომობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის) კომპონენტისათვის პრიორიტეტი ენიჭება რაჭას (ონისა და ამბროლაური მუნიციპალიტეტებს). სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მისაღწევად პროექტი აერთიანებს 3 კომპონენტს:

- ბაზრების ხელმისაწვდომობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის (M4P)
- ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება (DRR)
- ადგილობრივი მმართველობა

პროექტის მიზანია “გაუმჯობესებული ადგილობრივი საბაზრო ეკონომიკა და მმართველობის პროცესები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მოსახლეობის სასარგებლოდ”. ამ მიზნის მისაღწევად პროექტი აერთიანებს M4P-ის ინოვაციურ მიდგომას (SDC, DFID, სპრინგფილდის ცენტრი) და მთელ რიგ ინიციატივებისა, რომლებიც გამოცდილი და გამართლებულია ქეას 15 წლიანი მუშაობის მანძილზე კავკასიაში.

M4P კომპონენტი

პროექტის M4P კომპონენტის შედეგი იქნება: “სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემოსავალი გაიზარდა ინფორმირებულობის, მომსახურების, რესურსების და საბაზრო არხების სათანადო გამოყენებით”.

M4P არის მიდგომა, რომელიც გამიზნულია სოციალურად დაუცველთა ცხოვრების ეფექტური და მდგრადი განვითარებისთვის საბაზრო სისტემების გაცნობიერებისა და მათზე ზეგავლენის მეშვეობით. ის განისაზღვრება რამდენიმე მახასიათებლით:

- მიდგომა, რომელიც მიმართულების მიმცემია იმისა, თუ როგორ აუღოს ალღო მოსახლეობის ღარიბმა ფენამ საბაზრო სისტემებს (ანალიზი) და როგორ განახორციელოს ეფექტური ცვლილებები (მოქმედება).
- ფოკუსირება განვითარებად საბაზრო სისტემებზე, სუსტი ქმედებების გამომწვევი მიზეზების მიმართ (ვიდრე სიმპტომებზე).
- ამბიცია გზა მიეცეს ფართო მასშტაბის და სისტემურ ცვლილებებს
- მდგრადობის აუცილებლობის ვალდებულება. აუცილებელია, განვიხილოთ არამხოლოდ არსებული საბაზრო ფუნქციებისა და მოთამაშეების განლაგების მხედველობაში მიღება, არამედ ის, თუ როგორ იმუშავებენ ისინი მომავალში უფრო მეტად ეფექტურად, რაც დაეყრდნობა მოთამაშეების ალღოს და უნარს, შეასრულონ სხვადასხვა როლი.
- ფასილიტატორი შიდა უწყებისათვის; როგორც კატალიზატორი საბაზრო სისტემებში (ოღონდ არ უნდა გავხდეთ ნაწილი ამა თუ იმ საქმიანობისა).
- შესაძლებლობა და საჭიროება არსებული განვითარებადი მეთოდოლოგიის გაძლიერებისა.

იმისათვის, რომ დააჩქაროს სისტემური ცვლილებები M4P უნდა იყოს:

- უნარიანი - თავი გაართვას მრავალფეროვნებას და დინამიკას. ფოკუსირება გასაუმჯობესებელ საბაზრო სისტემებზე საკმარის მოქნილობას მოითხოვს, რათა შეძლოს მართოს რთული და ცვალებადი სიტუაციები.
- ოპორტინისტული და საპასუხო - მიაღწიო მდგრადობას ნიშნავს ადგილობრივი საკუთრების წინ წამოწევას. პროგრამებმა უნდა შეძლონ, გაიგონ არაერთგვაროვანი ბაზრის მოთამაშეების შესაძლებლობები და უპასუხონ მას პროგრამის სტრატეგიის შესაბამისად.
- რისკის მართვის უნარის მქონე - პროგრამები ცდილობენ არადაამაჯერებელი სიტუაციების ცვლილებების წახალისებას. გარკვეულ დონეზე მოსალოდნელია მარცხიც; აქედან პროგრამებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაავრცელონ თავიანთი საქმიანობები, რათა თავიდან აიცილონ “ყველა კვერცხის ჩადება ერთ კალათში”.

- კატალიზატორი - პროგრამები ცდილობენ, ბერკეტების საშუალებით მოახდინონ დიდი ცვლილებები შედარებით მცირე, ფოკუსირებული, შეზღუდული მოქმედებებით. ამისათვის მათ უნდა შესწევდეთ უნარი დაიწყონ მცირედით და შემდეგ კი დანერგონ წარმატებები ფართო და მდგრადი საბაზრო სისტემებისა თუ მოთამაშეების შექმნის მისაღწევად.

პროექტი ეფექტურად იზიარებს ახალ M4P მეთოდოლოგიას და გააჩნია შესაძლებლობა, ისწავლოს და გაიზიაროს სხვა M4P მეთოდოლოგიის გამოცდილება რეგიონში თუ მის ფარგლებს გარეთ.

მიზნების მისაღწევად პროექტი იყენებს ურთიერთმომცველი ინტერვენციების მოქნილ პაკეტს, მათ შორის:

- გაცვლითი ვიზიტები საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად: ფერმერი სწავლობს ფერმერისგან
- სასოფლო-საკონსულტაციო ცენტრი: ტრენინგები და სასოფლო სამეურნეო კონსულტაციები
- სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მაღაზია და რესურს ცენტრი
- საცდელი მეურნეობა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებითა და სწავლებით
- საუკეთესო გამოცდილებების კრებული
- ბაზრის კვლევა: ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი
- სამოვრებისა და სათიბების მართვისთვის უნარ-ჩვევების გაძლიერება
- სამოვრებისა და სათიბების მართვისათვის კვლევებისა და რუკების შედგენა
- მცირე სასოფლო ბიზნესში და სათემო წარმოებაში ჩართული მეწარმეების ტრენინგი
- გრანტები მეწარმეებისთვის მცირე სასოფლო ბიზნესის განვითარებისთვის
- გრანტები სათემო წარმოებისა და ინვესტორებისთვის
- სასოფლო გამოფენა-გაყიდვა: რეგიონის პროდუქტების პოპულარიზება
- ბუნებრივი რისკების შემცირება: სათემო კავშირების წინასწარი შეფასება, კატასტროფების მართვის გეგმა და საშიშროების შემცირება
- ტრენინგების გამართვა და უნარ-ჩვევების გაძლიერება სათემო კავშირებისთვის, მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების დაგეგმარება

- რაჭის მხარდამჭერი ჯგუფის მეშვეობით შესაბამისის კანონებისა და პოლიტიკის ხელშეწყობა

ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება (DRR) კომპონენტი

ოთხივე სამიზნე მუნიციპალიტეტი მიდრეკილია სტიქიური უბედურებებისაკენ. როგორცაა, წყალდიდობა, მეწყერები და მიწისძვრები. სიტუაციას აუარესებს გაუტყიურება და ზედა წყალგამყოფის საძოვრად ინტენსიური გამოყენება. სტიქიური უბედურებების შედეგად ხშირია ადამიანების დაღუპვის, პირუტყვის, საცხოვრებლების, სავარგულების და ინფსტრუქტურის განადგურების შემთხვევები.

ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებისათვის (DRR) ქეა ორ მიდგომას იყენებს:

1) თემების და ადამიანების შესაძლებლობების განვითარება შეაფასონ რისკი, რაც შეამცირებს მოსახლეობის მოწყვლადობას და გაზრდის მზადყოფნას.

2) ფართო მაშტაბის Dღღ –ის კომპონენტის წინ წამოწევას წინასწარი მოკვლევის, დაგეგმვის, ადვოკატირების და განხორციელების უნარჩვევების ჩამოყალიბებით მუნიციპალურ და რეგიონალური დონეზე.

ეს ყველაფერი დაუკავშირდება ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის და პოლიტიკური საქმიანობების პროცესს. მოსახლეობის ღარიბი ფენის სტიქიური უბედურებების მიმართ დაუცველობის შესამცირებლად, ქეა ადვოკატირებას ეწევა რაჭის მხარდამჭერი ჯგუფის მეშვეობით პოლიტიკის განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს რისკის შემცირებას და გასცემს მცირე გრანტებს თემებისთვის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის. ამასთან, ხდება გამოცდილების გაზიარება სხვა ორგანიზაციებთან DRR საკითხებში, აქტიური თანამონაწილეობით ეროვნულ დონეზე. მოსალოდნელი შედეგი ამ კომპონენტისათვის არის: “მოსახლეობის ღარიბი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფენის მოწყვლადობა სტიქიური უბედურებების მიმართ შემცირდა”.

რეგიონალური, მუნიციპალური და სათემო დაგეგმვა

პროექტი წარმართავს ტრენინგს მონაწილეობრივი განვითარებისაკენ მიმართული პროცესებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარების დაგეგმვაში თემს და მუნიციპალიტეტს. ეს ყველაფერი მიზნად ისახავს ისეთი განვითარების გეგმების არსებობას, რომლებიც უკეთესადაა მიმართული სოფლის დაუცველი მოსახლეობის განვითარების საჭიროებებისაკენ და იმავდროულად, წინ წამოსწევს სტიქიური უბედურებების რისკის შემცირების საკითხებს. მოსალოდნელი შედეგი იქნება “გაუმჯობესებული მმართველობის მექანიზმები ამცირებს მოსახლეობის დაუცველობას და აძლიერებს მათ საბაზრო შესაძლებლობებს”. მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობა საშუალებას

აძლევს უფრო მეტად ღირებული და ეფექტური მიდგომების საშუალებით თანაბრად დააკმაყოფილონ საჭიროებები და მიაღწიონ უკეთეს დაფინანსებას და პოლიტიკურ გარემოს.